ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №26

02.03.2023 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ირაკლი ეძგვერაძე, სალომე კობალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრი:

1. **საბა ბუაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ანა გოგოლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიორგი კობიაშვილი** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
2. **ნათია კოსტავა** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი;
3. **ნატა უზუნაშვილი** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი;
4. **გიორგი ცისკარიშვილი** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი;
5. **ნათია ჩიქოვანი** - არასამთავრობო ორგანიზაცია „პროექტი ცხოველებისათვის“ (“Animal Project”) წარმომადგენელი;
6. **თინათინ ჭავჭანიძე** - არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ თავმჯდომარე;
7. **მაია ხეჩინაშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ წარმომადგენელი;
8. **თამარ ლომიშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობის სახლის“ თავმჯდომარე;
9. **მარინა ბერსენაძე** - არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანები ცხოველებისთვის“ თავმჯდომარე;

10. **სალომე კვარაცხელია** - ა(ა)იპ „საქართველოს ფისომოყვარულთა კლუბის“ წარმომადგენელი;
11. **თამარ აქუბარდია** - „ცხოველთა ადვოკატირების ცენტრის“ წარმომადგენელი;
12. **ანასტასია ლოსაბერიძე** - აქტივისტი;
13. **მარიამ ზარდიაშვილი** - აქტივისტი;
14. **ნანა ძირტკბილაშვილი** - აქტივისტი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენამდე, **ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ** ისაუბრა დედაქალაქში შინაური ცხოველების პოპულაციების მართვის წესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

ამის შემდგომ, **ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ** დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი, ბ-ნი გიორგი კობიაშვილი.

მოისმინეს დღის **წესრიგით გათვალისწინებული საკითხი** - სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული სამუშაო ანგარიში.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა.

მომხსენებელმა (გ. კობიაშვილი) დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, კერძოდ:

- თავშესაფრიდან გაჩუქებული ცხოველების მოვლა-პატრონობის მონიტორინგის თაობაზე;
- პატრონიანი ცხოველების მონიტორინგის თაობაზე;
- განახლებული ინფრასტრუქტურის - პოპულაციების მართვის ცენტრის (ახალი საოპერაციო სივრცის, დამატებითი ვოლიერების, ცხოველთა სტერილიზაცია-კასტრაციის რაოდენობის გაზრდის მიზნით ახალი საოპერაციო ოთახის მოწყობის) თაობაზე;
- სააგენტოში შესული სატელეფონო და წერილობითი შეტყობინებებისა და მათზე განხორციელებული რეაგირების თაობაზე;
- ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველთა სტატისტიკის შესახებ;
- ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ჩატარებული სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების თაობაზე;
- ქირურგიული ოპერაციების თაობაზე;
- სამაშველო ეკიპაჟების მიერ ჩატარებული ოპერაციების თაობაზე;
- ცხოველთა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაციის თაობაზე;
- ტრავმირებული ცხოველების დახმარების შესახებ;
- თავშესაფრიდან გაჩუქებული და მიკედლებული ცხოველების თაობაზე;
- პატრონთან დაბრუნებული ცხოველების შესახებ;
- შინაური ცხოველების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის თაობაზე;
- დაჭერილი ქვეწარმავლების თაობაზე;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების (ჯარიმები) თაობაზე;
- დედაქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა მისამართზე მიუსაფარი ძაღლებისთვის ხის სახლების განთავსების თაობაზე;
- დედაქალაქის სკოლებში ჩატარებული საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების თაობაზე;
- მიუსაფარი ცხოველების გაჩუქების აქციების შესახებ;
- საინფორმაციო კამპანია „ცხოველების გასეირნების წესის“ თაობაზე .

ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა ასევე, ისაუბრა დედაქალაქში შინაური ცხოველების პოპულაციების მართვის წესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მათი გადაწყვეტის გზების, აგრეთვე, სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2023 წლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მომხსენებლის განმარტებით, საჭიროა ჩატარდეს კვლევა, რათა დადგინდეს: მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა, ქუჩაში ბინადარი შინაური ცხოველების (განსაკუთრებით, ძაღლების) გამრავლების ძირითადი წყარო, დაავადებები, ცხელი წერტილები, რის შემდეგაც დაისახება კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ასევე, ბ-ნმა გ. კობიაშვილმა

ყურადღება გაამახვილა, ცხოველთა რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის საჭიროებაზეც და აღნიშნა, რომ უნდა დაინერგოს რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის ისეთი სისტემა, რომელიც მორგებული იქნება ევროპულ სტანდარტებს, გაამარტივებს მეპატრონისა და ცხოველის მოძიებას, აისახება ცხოველის ვეტერინარული ისტორია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა გ. კობიაშვილმა ისაუბრა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის ვეტერინარულ კლინიკებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის თაობაზეც. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ვეტერინარულ კლინიკებთან დაკავშირებულ საკითხებს და აღნიშნა, რომ იგეგმება მათთან მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება, პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდა და ვეტ.კლინიკების დახმარებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, მათ შორის, საინფორმაციო კამპანიების, რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის პოპულარიზაციის მიმართულებით.

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული სამუშაო ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ირ. ეძგვერაძემ (კომისიის წევრი) - ე.წ. უპატრონო და მიკედლებული ძაღლების შესახებ;

ქ-ნმა თ. ჭავჭანიძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ თავმჯდომარე) - შინაური ცხოველების, განსაკუთრებით ქუჩაში ბინადარი ძაღლებისა და კატების პოპულაციების მართვის, მათი სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების, ცხოველთა მონიტორინგის საქმიანობისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების, ასევე, ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ-ნი თ. ჭავჭანიძე დაინტერესდა, გასულ წლებში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ფისომოყვარულთა კლუბს“ შორის დადებული ხელშეკრულებისა და თანამშრომლობის საკითხით.

ბ-ნ ლ. ჯაფარიძემ (კომისიის წევრი) - შეტყობინების საფუძველზე მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველის კვლავ პირვანდელ (იგივე) საცხოვრებელ ტერიტორიაზე (ურბანულ გარემოში) დაბრუნების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ქ-ნი მ. ხეჩინაშვილმა (არასამთავრობო ორგანიზაციის - „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ წარმომადგენელი) - ცხოველის (ძაღლის) აგრესიულობის დადგენის თანამედროვე სტანდარტის ტესტების თაობაზე; ასევე, ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში დასაქმებული ვეტერინარების რაოდენობის შესახებ.

ბ-ნმა ს. ბუაძემ (საკრებულოს წევრი) - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რაიონული ქვედანაყოფების შექმნისა და ცხოველთა პოპულაციების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რაიონული ერთეულების მიხედვით ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნი ს. ბუაძე დაინტერესდა ცხოველთა კასტრაცია-სტერილიზაციის ოპერაციების რაოდენობით.

ქ-ნმა ს. კობალაძემ (კომისიის წევრი) - პარკებსა და ბაღებში შინაური ცხოველების გასასეირნებელი ადგილების თაობაზე.

ქ-ნმა ა. გოგოლაძემ (საკრებულოს წევრი) - თბილისის ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვის, განსაკუთრებით, ცხენების უკონტროლოდ გადაადგილებისა და მსგავს ფაქტებზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების თაობაზე. ასევე, დედაქალაქში, განსაკუთრებით სოფ.თხინვალაში, მღრნელების (ვირთხების) საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ.

ქ-ნმა ნ. ძირტკბილაშვილმა (აქტივისტი) - მიუსაფარი ცხოველების დაჭერის, მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანისა და შემდგომი პროცედურების (დაკვირვება, სტერილიზაცია-კასტრაცია, პოსტ-ოპერაციული დაკვირვება) თაობაზე; ასევე, ზოონოზური დაავადებების (განსაკუთრებით, ჭირის) გავრცელებისა და თავშესაფარში ცხოველთა სიკვდილიანობის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ-ნი ნ. ძირტკბილაშვილი დაინტერესდა მუნიციპალურ თავშესაფარში ვიზიტორების მიღების დღეებითა და ცხოველთა მონახულების საათებითაც.

ქ-ნმა ს. კვარაცხელიამ (ა(ა)იპ „საქართველოს ფისომოყვარულთა კლუბის“ წარმომადგენელი) - ცხოველებში გავრცელებული ჭირის, ასევე, კატების სტერილიზაცია-კასტრაციისა და ზოგადად, ცხოველების პოსტოპერაციული მდგომარეობისა და ცხოველებში ტრავმების თაობაზე.

დამსწრე საზოგადოების მიერ ასევე დაისვა შეკითხვები:

- ძაღლის მიერ დაკბენის ფაქტის შეტყობინებისა და დადასტურების თაობაზე.
- დაჭერილი ქვეწარმავლების, მათი შემდგომი განთავსების ადგილის, რეპელენტით დასამუშავებელი ტერიტორიებისა და სააგენტოს მიერ გამოყენებული რეპელენტის უსაფრთხოების თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა, რომელმაც დეტალურად და ამომწურავად განმარტა შინაური ცხოველების, განსაკუთრებით ქუჩაში ბინადარი ძაღლებისა და კატების პოპულაციების მართვის, მათი სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების, ასევე, ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ცხოველის შეყვანიდან მისი ურბანულ გარემოში დაბრუნებამდე ყველა საჭირო პროცედურა, რომელიც რეგულირდება დედაქალაქში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

ბ-ნმა გ. კობიაშვილმა ასევე ისაუბრა მუნიციპალური თავშესაფრის, თავშესაფარში დასაქმებული ვეტერინარების რაოდენობისა და მათი ყოველდღიური საქმიანობის შესახებაც და აღნიშნა, რომ კვლევა, რომლის განხორციელებასაც მონიტორინგის სააგენტო

აპირებს, დედაქალაქს საშუალებას მისცემს, დასახოს ყველა ის პრიორიტეტული სამოქმედო ღონისძიებები, გეგმის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს ქუჩაში მობინადრე ცხოველების რაოდენობის შემცირებას. გარდა ამისა, ბ-ნმა გ. კობიაშვილმა აღნიშნა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელად მისი მოსვლის დღიდან, ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ვიზიტორებისა და მსურველების შესვლის პრობლემა აღარ არსებობს. ვიზიტორებისთვის გამოყოფილია სპეციალური დღეები და საათები (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 15:00-17:00 სთ).

ბ-ნმა გ. კობიაშვილმა ისაუბრა იმ სამომავლო გეგმებზეც, რომელიც ხელს შეუწყობს დედაქალაქის ყველა რაიონში ცხოველთა პოპულაციის მართვის ეფექტიანობის ზრდას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით მუშაობა, სააგენტოს მიერ შეირჩევა და განხორციელდება ის პროექტები რომლებიც უფრო შედეგის მომცემი იქნება.

მომხსენებლის განმარტებით, შინაური ცხოველების, მათ შორის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის საკითხები შედის სააგენტოს კომპეტენციაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მღრნელების საკითხი სცდება სააგენტოს უფლებამოსილებას.

რაც შეეხება ცხენებისა და ძროხების დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილების ფაქტებს, ბ-ნმა გ. კობიაშვილმა ისაუბრა იმ კანონქვემდებარე აქტების შესახებ, რომლითაც რეგულირდება დედაქალაქში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესები. ასევე, აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ცხენების დაჭერა და შემდეგ მათი ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან მათი დაჭერა და ტრანსპორტირება როგორც დიდ ადამიანურ, ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსთან არის დაკავშირებული. მან დაასახელა კონკრეტული რაოდენობა (17 ცხენი) და ლოკაციები (გლდანის, საბურთალოს, სამგორის რაიონები), სადაც უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში მოხდა ცხენების დაჭერა და თავშესაფარში ტრანსპორტირება.

ბ-ნმა გ. კობიაშვილმა ისაუბრა ზოონოზური დაავადებების, მათ შორის ჭირის გავრცელების ფაქტების თაობაზე. მან დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ განუმარტა ის პროცედურები, რომლებიც უტარდება ცხოველებს მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანისას და აღნიშნა, რომ როდესაც ცხოველი შედის თავშესაფარში, მას უტარდება გამოკვლევა-დაკვირვება და ხდება ყველა იმ დაავადებისა თუ ინფორმაციის აღრიცხვა, რაც შეყვანისა და დაკვირვების დროს უფიქსირდება ცხოველს.

პარკებსა და ბაღებში შინაური ცხოველების გასასეირნებელი ადგილების თაობაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, **ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ განმარტა,** რომ ახალი ბაღ-სკვერების მშენებლობის, ასევე, არსებული ბაღ-სკვერების რეაბილიტაციისას, სავალდებულოა დენდროლოგიურ პროექტში გათვალისწინებულ იქნას ცხოველების გასასეირნებელი ადგილები. შესაბამისად, ყველა ახალ სკვერსა და რეაბილიტირებულ დიდ სარეკრეაციო სივრცეებში მოწყობილია ცხოველთა გასასეირნებელი ადგილები.

დაჭერილი ქვეწარმავლების, მათი შემდგომი განთავსების ადგილის, რეპელენტით დასამუშავებელი ტერიტორიებისა და სააგენტოს მიერ გამოყენებული რეპელენტის უსაფრთხოების თაობაზე დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს: ბ-ნმა გ.

კობიაშვილმა და სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნატა უზუნაშვილმა.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ს. ბუაძემ (საკრებულოს წევრი) - ქუჩაში ბინადარი ცხოველების რაოდენობის შემცირების მიზნით, შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის აუცილებლობის თაობაზე. ბატონი საბა ბუაძის აზრით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის, უკეთესი იქნება, თუ გაიწერება სატენდერო პირობები და ტენდერის გამოცხადებით მოხდება ზოგიერთი პროექტის განხორციელება.

ბ-ნმა საბა ბუაძემ, ასევე, ისაუბრა შინაურ ცხოველთა კეთილდღეობის კანონის პროექტზე და აღნიშნა, რომ კანონის მიღებამდე, მუნიციპალიტეტმა შესაძლებელია განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები მოქმედ, მარეგულირებელ წესებში, რაც ხელს შეუწყობს ცხოველთა პოპულაციების მართვის ეფექტიანობის გაზრდასა და მოსახლეობის, მათ შორის ცხოველების პატრონების ცნობიერების ამაღლებას.

ქ-ნმა მ. ბერსენაძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანები ცხოველებისთვის“ თავმჯდომარე) მადლობა გადაუხადა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელობას კონსტრუქციული ურთიერთობისა და გაწეული საქმიანობის გამო. ქ-ნმა მ. ბერსენაძემ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და წარმომადგენელმა, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შესთავაზა დახმარება ცხოველთა პოპულაციების მართვის ეფექტიანობის ამაღლებასა და მიმდინარე პროექტების განხორციელებაში.

ქ-ნმა ნ. ჩიქოვანმა ისაუბრა შინაურ ცხოველთა კეთილდღეობის კანონის პროექტის, ცხოველებში გავრცელებული ზოონოზური დაავადებების, კასტრაცია-სტერილიზაციის თაობაზე და აღნიშნა, რომ ადგილობრივი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსა და აქტივისტების ურთიერთთანამშრომლობით, შესაძლებელი გახდება ქუჩაში ბინადარი ცხოველების რაოდენობის შემცირება სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების გაზრდის გზით. კერძოდ, თუ აქტივისტებს შესაძლებლობა მიეცემათ რიგში დგომის გარეშე და უფასოდ ცხოველების მიყვანა ვეტერინარებთან, ბევრი ცხოველთა დამცველი და მოყვარული უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით ცხოველების მიყვანას იმ ვეტ.კლინიკებში, რომლებსაც სააგენტო შეარჩევს.

ქ-ნმა ნ. ჩიქოვანმა (არასამთავრობო ორგანიზაცია „პროექტი ცხოველებისათვის“ (“Animal Project”) წარმომადგენელი), ასევე, ისაუბრა არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო აქციების შესახებაც.

ქ-ნმა თ. ჭავჭანიძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ თავმჯდომარე) ისაუბრა ცხოველების იდენტიფიკაციის აუცილებლობის თაობაზე.

ქ-ნმა ნ. უზუნაშვილმა (სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი) დამსწრე საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ დედაქალაქის სკოლებში ჩატარებული საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების თაობაზე.

სხდომის მსვლელობისას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და კომისიის წევრებმა ისაუბრეს ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის, ასევე, ზოონოზური დაავადებების, ცხოველთა მიერ ადამიანების დაკბენისა და ცხოველის აგრესიულობის დადასტურების კონკრეტული მაგალითების შესახებ.

სხდომის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, კომისიის სახელით მადლობა გადაუხადა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს გაწეული საქმიანობისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის მზაობა გამოხატა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრებმა:

ცნობად მიიღეს სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე